ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3778585

ნომერი: AR1564346

თარიღი : 12.12.2017

გაცემის თარიღი : 15.01.2018

გაცნობის თარიღი : 15.01.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან კიკვაძე პ/ნ 60001009411
- ქუთაისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 136 ბ. 11

ორგანიზაცია:

- შპს ნაქა კოდი: 204418745

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი– სამგორი, სადგური ლილო, N 51/ ქალაქი თბილისი, სადგური ლილოს მიმდებარედ, შპს „ნაქა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (სკ. 01.19.15.005.048) დაცვის ოთახის მქონე ფუნქციის, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - რეგ. 882017924433 30/10/2017წ, საკადასტრო კოდი: N 01.19.15.005.048; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, ესკიზური ნახაზები, საკადასტრო გეგმა,) ქალაქ მშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი– სამგორი, სადგური ლილო, N 51/ ქალაქი თბილისი, სადგური ლილოს მიმდებარედ, შპს „ნაქა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (სკ. 01.19.15.005.048) დაცვის ოთახის მქონე ფუნქციის, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის მოწყობის შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ნაგებობა უნდა განთავსდეს საკადასტრო (N 01.19.15.005.048) საზღვრებში და უზრუნველყოფილ იქნას კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.